დაიჯესტი

25 ივნისი - 1-ლი ივლისი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

სამხედრო ოფიციალური პირების თქმით, აშშ-ის ძალებმა სირიაში საჰაერო თავდასხმის დროს ტერორისტული ლიდერი გაანეიტრალეს. აშშ-ს ცენტრალურმა სარდლობამ (CENTCOM) განაცხადა, რომ თავდასხმის სამიზნე აბუ ჰამზა ალ იემენი იყო ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ტერორისტული ჯგუფის უფროსი ლიდერი. დაჯგუფება ცნობილია როგორც ჰურას ალ-დინი. თავდასხმის დროს ლიდერი მოტოციკლით მარტო იმყოფებოდა იდლიბის პროვინციაში, თქვა CENTCOM-მა. განცხადების თანახმად, ძალადობრივი ჯგუფები, როგორიცაა ჰურას ალ-დინი, წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს აშშ-სთვის და მისი მოკავშირეებისთვის. აშშ-ს სამხედროების თქმით, ადრეულმა მიმოხილვამ არ აჩვენა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. თავდასხმა მოხდა 10 დღის შემდეგ, რაც აშშ-ს ძალებმა ჩრდილო-დასავლეთ სირიაში იშვიათი სახმელეთო დარბევა განახორციელეს, სადაც ISIS-ის ლიდერი დააკავეს.

გაერთიანებული სამეფო

დიდ ბრიტანეთში ტერორისტულ დანაშაულებში ეჭვმიტანილი 16 წლის ბიჭი დააკავეს, როდესაც ლონდონის სტენსტედის აეროპორტიდან გაფრენას აპირებდა. მას ბრალი ედება ინფორმაციის შეგროვებაში, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ტერორისტული აქტის ჩამდენი ან მომზადებული პირისთვის და ტერორისტული პუბლიკაციების გავრცელებაში. პოლიციამ განაცხადა, რომ სავარაუდო დანაშაულები "კავშირშია ექსტრემალურ ისლამისტურ იდეოლოგიასთან". 2021 წლის აპრილიდან 2022 წლის მარტამდე, დიდ ბრიტანეთში ტერორიზმთან დაკავშირებული ყველა დაკავების 15 პროცენტი (ჩრდილოეთ ირლანდიის გამოკლებით) ეხებოდა 18 წლამდე ასაკის ადამიანებს. ამ წლის 17 მაისს, 13 წლის ბიჭი დააკავეს დასავლეთ ლონდონში ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებების გამო. ის არის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც ბრალი ტერორიზმში ედება დიდ ბრიტანეთში. გასულ კვირას 15 წლის ბიჭი დააკავეს ჩრდილოეთ ინგლისში და ბრალი წაუყენეს ექსტრემალურ მემარჯვენე ტერორიზმში.

საფრანგეთი

2015 წლის ნოემბერში „ისლამური სახელმწიფოს“ ჯგუფის მიერ ბატაკლანის საკონცერტო დარბაზსა და პარიზის გარშემო სხვა ობიექტებზე თავდასხმების გამო სულ 20 ადამიანი გაასამართლეს. სასამართლოზე მხოლოდ 14 გამოჩნდა პირადად, დანარჩენები დაკარგულები ან სავარაუდოდ გარდაცვლილები არიან.

ერთადერთმა გადარჩენილმა თავდამსხმელმა, ბელგიაში დაბადებულმა საფრანგეთის მოქალაქემ, 32 წლის სალაჰ აბდესლამმა სასამართლოზე თავის პროფესიად „ისლამური სახელმწიფოს მებრძოლი“ გამოაცხადა. მან თავი დაიცვა იმით, რომ თქვა, რომ იმ ინციდენტის შემდეგ არავინ მოუკლავს და ირწმუნება, რომ ბრაში ქამრის აფეთქებაზე უარი თქვა, პროკურორები ამბობენ, რომ მისი თვითმკვლელობის ქამარი უბრალოდ დეფექტური იყო. ის თავდასხმების შემდეგ ოთხი თვის განმავლობაში გაქცეული იყო და ბრიუსელში პოლიციასთან სროლაში მონაწილეობდა, რისთვისაც მას უკვე 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ფრანგი პროკურორები სრულ უვადო პატიმრობას ითხოვენ.

ნორვეგია

ოსლოში 25 ივნისს „ისლამისტური ტერორიზმის აქტის“ შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და 21 დაიჭრა. სროლა მოხდა რამდენიმე ადგილას: „ლონდონის პაბში“, ჰერ ნილსენის ჯაზ კლუბში, რომელიც პოპულარული LGBTQ+ ადგილია და კიდევ ერთ პაბში. ნორვეგიის პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ ეჭვმიტანილი, ირანული წარმოშობის ნორვეგიის მოქალაქე, ზანიარ მატაპური, მაისში დაკითხეს, მაგრამ იმ დროისთვის იგი საფრთხედ არ ითვლებოდა. ”ახლა ჩვენ უნდა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს”, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა იონას გაჰრ შტოერმა. ოფიციალური პირების მიხედვით, სროლა ადგილობრივი დროით 01:15 საათზე დაიწყო. თვითმხილველების თქმით, ეჭვმიტანილმა ჩანთიდან იარაღი ამოიღო და დაიწყო სროლა. პოლიციელებმა, თავდამსხმელი რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმხილველების დახმარებით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ადგილზე ორი იარაღი ამოიღო, მათგან ერთი სრულად ავტომატური იარაღი იყო. პოლიციის განცხადებით, მატაპურის სასამართლომდე ფსიქიატრიული გამოკვლევებიც ჩაუტარდება, შემდეგ კი მისი საქმე სასამართლოში განიხილება. 21 დაშავებულიდან 10 მძიმე მდგომარეობაშია. ნორვეგიაში ტერორისტული განგაშის დონე ამ ეტაპზე უმაღლეს დონეზეა, თუმცა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის განცხადებით, ამჟამად არ არსებობს მაჩვენებელი იმისა, რომ შემდგომი თავდასხმები სავარაუდოა. ოსლოს ყოველწლიური გეი-პრაიდი, რომელიც შაბათს უნდა ჩატარებულიყო და პოლიციის რჩევით ოფიციალურად გაუქმდა.

სირია

ირანის მიერ მხარდაჭერილი მილიცია განაგრძობს სირიის იმ ადგილობრივი მებრძოლების დაკავებას, რომლებიც დეირ ეზორის სოფლის უდაბნოში საბრძოლველ ოპერაციებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. სირიის ადამიანის

უფლებათა დამკვირვებელმა (SOHR) წყაროებმა მიუთითეს, რომ მიმდინარე თვეში ISIS-მა დარბევებს მოუმატა - 20 დღეში 11 თავდასხმა აღინიშნა, 2 ივნისიდან 22 ივნისამდე. ტერორისტებმა მოკლეს რეჟიმის 42 ჯარისკაცი და მილიციელი, ასევე, დაჭრეს 31 ადამიანი. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ერთი მშვიდობიანი მოქალაქე, 14-მა კი სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო. სადამკვირვებლო იტყობინება, რომ რეჟიმის ძალები, რომლებსაც მხარს უჭერს პალესტინელი მილიცია „ლივაა ალ-ქუდსი“ ებრძოდნენ რაქას სამხრეთ-აღმოსავლეთ ჯაბალ ალ-ბიშრის რაიონებს სადაც ეძებდნენ ISIS-ის სამალავებს. უფრო მეტიც, რეჟიმის ძალებმა და მათ მიერ მხარდაჭერილმა მილიციამ ვერტმფრენების საშუალებით დაარბიეს მიტოვებული სახლები, რომლებსაც მესაქონლეები იყენებდნენ.

[აშშ-ს სამხედროებმა გამოავლინეს ისლამური სახელმწიფოს ლიდერის ვინაობა,] რომელიც დააკავეს 16 ივნისს ჩრდილოეთ სირიაში საჰაერო სროლის დროს. ეჭვმიტანილი ცნობილია, როგორც ჰანი აჰმედ ალ-ქურდი. არმიის გენერალი მაიკლ ერიკ კურილა, აშშ-ს ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელმა განაცხადა რომ ოპერაცია „ადასტურებს ჩვენს ერთგულებას რეგიონის უსაფრთხოებისა და ISIS-ის სრულად დამარცხების მიმართ“. 16 ივნისს გამოქვეყნებულ ცალკე განცხადებაში, აშშ-ს ხელმძღვანელობით საერთაშორისო კოალიციურმა ძალებმა განაცხადეს, რომ ქურდი, ასევე ცნობილი როგორც სალიმი, პასუხისმგებელი იყო "ტერორისტული" ქმედებების კოორდინაციაში მთელ რეგიონში. კოალიციამ დაამატა, რომ ქურდი ავარჯიშებდა „ტერორისტებს“ ბომბების წარმოებაში, მხარს უჭერდა ბომბების წარმოების ობიექტების მშენებლობას და ხელს უწყობდა თავდასხმებს აშშ-ს ძალებზე და მის მოკავშირეებზე, ქურთების ხელმძღვანელობით სირიის დემოკრატიული ძალების (SDF) მითითებით. ქურდის ვინაობა გაირკვა რამდენიმე საათის შემდეგ, რაც საერთაშორისო კოალიციის ძალებმა ალეპოს ჩრდილოეთით, ჯარაბლუსის სოფელში საჰაერო სროლა განახორციელეს, რომლის დროსაც იგი დააკავეს. 16 ივნისის განცხადებაში კოალიციურმა ძალებმა პირობა დადო, რომ გააგრძელებენ IS-ზე ნადირობას.

[100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის მრავალი ქალი, სულ რაღაც 18 თვეში სირიის ბანაკში მოკლეს, განაცხადა გაერომ და ქვეყნებიდან თავიანთი მოქალაქეების რეპატრიაცია მოითხოვა.] ალ-ჰოლის ბანაკი სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება და დაკავებულ ბავშვებს მომავლის გარეშე ტოვებენ, განაცხადა იმრან რიზამ, გაეროს რეზიდენტმა კოორდინატორმა სირიაში. ალ-ჰოლი, ქურთების მიერ კონტროლირებულ ჩრდილო-აღმოსავლეთში, გამიზნული იყო დროებითი დაკავების დაწესებულებად. თუმცა, მას ჯერ კიდევ ჰყავს დაახლოებით 56,000 ადამიანი, ძირითადად სირიელები და ერაყელები, რომელთაგან ზოგიერთი ინარჩუნებს კავშირს ჯიჰადურ დაჯგუფება ისლამურ სახელმწიფოსთან,

რომელმაც დაიპყრო ერაყისა და სირიის ტერიტორიები 2014 წელს. დაკავებულთა დაახლოებით 94% ქალი და ბავშვია, განუცხადა რიზამ, რომელიც რამდენიმეჯერ ეწვია ალ-ჰოლს, ჟურნალისტებს ჟენევაში და აღნიშნა რომ "ეს ძალიან მკაცრი ადგილია და სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება." მან დაამატა, რომ ბანაკში "დაახლოებით 106 მკვლელობა მოხდა გასული წლის იანვრიდან" და ბევრი მსხვერპლი ქალი იყო.

ერაყი

შაბათს, 25 ივნისს, ერაყის ქურთისტანის რეგიონში არსებული ხორ-მორის გაზის საბადო ბოლო ოთხი დღის განმავლობაში მესამედ გახდა სარაკეტო თავდასხმის ობიექტი. კონტრტერორისტული ჯგუფის, ერაყის ავტონომიური ქურთისტანის რეგიონის უსაფრთხოების სააგენტოს განცხადებით, სულ ექვსი რაკეტა მოხვდა ხორ-მორის გაზის საბადოს, რომელსაც არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაფუძნებული Dana Gas (DANA.AD) მართავს ერაყის სულეიმანის პროვინციაში. განცხადებაში მსხვერპლზე არ არის საუბარი. მანამდე უსაფრთხოების წყაროების Reuter-თან გაკეთებული განცხადების თანახმად, თავდასხმების შედეგად არავინ დაშავებულა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობაც დაუყოვნებლივ არავის აუღია. ერაყის ზოგიერთი ოფიციალური პირის განცხადებით, წარსულში მსგავს თავდასხმებზე პასუხისმგებლობას ირანის მხარდაჭერილი შეიარაღებული პირები იღებდნენ.

ისრაელი

ისრაელმა ოთხშაბათს დაადანაშაულა ირანის მიერ მხარდაჭერილი ლიბანური მილიცია „ჰეზბოლა“ კიბეროპერაციების განხორციელებაში, რომლის მიზანიც გაეროს სამშვიდობო მისიის ჩაშლა იყო ქვეყნებს შორის საზღვარზე. ამასთან, ისრაელის მხარე მტრის ჰაკერებს მკაცრი შურისძიებით დაემუქრა. ბრალდება, რომელზეც დაუყოვნებელი პასუხი არ გაუცია ჰეზბოლასა და თეირანს, ისრაელ-ირანის ურთიერთობის დაძაბვის პარალელურად გამოჩნდა. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ბენი განცმა თქვა: „ირანის უსაფრთხოების ინსტიტუტებმა ჰეზბოლასთან თანამშრომლობით (ცოტა ხნის წინ) წამოიწყეს კიბეროპერაცია, რომლის მიზანი იყო UNIFIL-ის საქმიანობისა და ამ ტერიტორიაზე მისი განლაგების შესახებ მასალების მოპარვა ჰეზბოლას სასარგებლოდ“. „ეს არის კიდევ ერთი პირდაპირი თავდასხმა ირანისა და ჰეზბოლას მხრიდან ლიბანის მოქალაქეებზე და ლიბანის სტაბილურობაზე“ - აღნიშნა მან თელ-ავივის უნივერსიტეტში კიბერკონფერენციაზე, დეტალების გამჟღავნების გარეშე.

UNIFIL-მა განაცხადა, რომ თავდასხმის შესახებ პირველად გაიგო და არ მიუღიათ პირდაპირი ინფორმაცია სავარაუდო ინციდენტზე.

შეტაკებების ბოლო სერიაში, ისრაელელმა ჯარისკაცებმა ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე ქალაქ ჯენინში ცეცხლი გაუხსნეს და მოკლეს პალესტინელი მამაკაცი, აცხადებენ პალესტინელი ოფიციალური პირები. პალესტინის „ისლამური ჯიჰადის“ მებრძოლთა ჯგუფის განცხადებით, მათი ერთ-ერთი წევრი დაიღუპა „საოკუპაციო ძალებთან დაპირისპირებისას“ ჯენინში, სადაც სამხედრო იერიშები გაიზარდა მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიიდან მამაკაცებმა განახორციელეს რამდენიმე სასიკვდილო თავდასხმა ისრაელის ქუჩებში. ისრაელის სამხედროებმა განაცხადეს, რომ მათმა ძალებმა, რომლებიც აწარმოებდნენ „კონტრტერორისტულ აქტივობებს“ ცეცხლსასროლი იაღათით უპასუხეს რამდენიმე პალესტინელ ეჭვმიტალს, რომლებმაც მათ ასაფეთქებელი ნივთიერებები ესროლეს. აღსანიშნავია, რომ ისრაელისა და პალესტინის ლიდერები მომავალ თვეში ცალ-ცალკე შეხვდებიან აშშ-ს პრეზიდენტ ჯო ბაიდენს რეგიონში მისი ვიზიტის დროს.

კატარის სახელმწიფო

თალიბანის უმაღლესი დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ამირ ხან მუთაქის ხელმძღვანელობით გაემგზავრა კატარში აშშ-ს ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებების უახლესი რაუნდის გასამართად. მოლაპარაკებები ეხება, დაახლოებით, 9 მილიარდი დოლარის ოდენობით გაყინული ავღანური თანხების გათავისუფლებას, რამდენადაც ერი სიღარიბისა და შიმშილის კრიზისის ზღვარზეა. დისკუსია ორიენტირებული იქნება „გაყინული ავღანური რეზერვების მექანიზმის შექმნაზე“, აღნიშნა ავღანეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა აჰმედ ვალი ჰაკმალმა. „ჩვენ ველით, რომ ეს იქნება მოლაპარაკებების სერიოზული რაუნდი“. დელეგაციაში შედიან ცენტრალური ბანკის მმართველი მოჰამად იდრისი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნაზირ კაბირი. ისინი შეხვდებიან აშშ-ს სპეციალურ წარმომადგენელს ავღანეთში თომას უესტს და სახაზინო დეპარტამენტის ოფიციალურ პირებს. შეხვედრა პირველად იმართება მას შემდეგ, რაც 21 მაისს დასავლეთმა მოუწოდა მუთაქის, მოეხსნა შეზღუდვები გოგოების განათლებაზე. თალიბანის პირობებში, გოგოებს ეკრძალებათ მეექვსე კლასის შემდგომ განათლების მიღება. ასევე, შეხვედრა იმართება მალევე მას შემდეგ, რაც Washington Post-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია მუშაობს თალიბანის ხელმძღვანელობასთან მექანიზმებზე, რომლებიც საშუალებას მისცემს

ავღანეთის მთავრობას, გამოიყენოს ცენტრალური ბანკის რეზერვები და შეზღუდოს თალიბების წვდომა. ამასთან, ქაბულში თალიბები ამჟამად ატარებენ 3000 ადამიანისგან შემდგარ პირველ გრანდიოზულ შეკრებას აქტუალური საკითხების, მათ შორის, გოგოების განათლებისა და ლეგიტიმაციის არარსებობის პირობებში საერთაშორისო არენაზე მეტი ჩართულობის საკითხების განსახილველად.

იემენი

ოთხშაბათს, სამხრეთ საპორტო ქალაქ ადენში იემენეის სამხედრო ჩინოვნიკების კოლონის აფეთქების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა, აცხადებენ იემენელი სამხედროები. ლაჰაჯის პროვინციის უსაფრთხოების ძალების მეთაური სალეჰ ალ-სეიდი მკვლელობის მცდელობას გადაურჩა, აღნიშნა სამმა სამხედრო მაღალჩინოსანმა. ორმა მათგანმა განაცხადა, რომ თავდასხმის შედეგად დაიღუპა სულ მცირე ხუთი მშვიდობიანი მოქალაქე და ერთი სამხედრო ოფიცერი, ხოლო ექვსი სხვა მძიმედ დაიჭრა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის არ აუღია, თუმცაღა ალ-კაიდას ბოევიკებმა სწორედ ახლახან გააძლიერეს ოპერაციები სამხრეთ იემენში. სულ მცირე 10 იემენელი ჯარისკაცი ემსხვერპლა გასულ კვირას იქ მომხდარ ორ ცალკეულ თავდასხმას.

ბენინი

კვირას, ჩრდილო-დასავლეთ ბენინის პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმის შედეგად, ორი პოლიციელი დაიღუპა, ერთი კი დაშავდა. თავდასხმა ერთ-ერთია ბოლო პერიოდის ფატალური თავდასხმების სერიაში მეზობელ ბურკინა-ფასოსა და ნიგერში შეიარაღებული პირების მოქმედების შედეგად დაზარალებულ რაიონში. ჯიჰადისტი ექვმიტანილები დასარის პოლიციის განყოფილებაში დაახლოებით დილის 2 საათზე მივიდნენ და გახსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც ორი ოფიცერი მოკლეს. პოლიციის განყოფილების ცნობით, შემთხვევის დროს ორი „ტერორისტი“ დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა.

დასარი კოტონუდან ჩრდილო-დასავლეთით 600 კილომეტრში (373 მილი), ბურკინა ფასოს საზღვართან მდებარეობს და დაახლოებით 250 კმ-შია პოლიციის განყოფილებიდან კარიმანას კომუნაში, ნიგერთან საზღვართან, რომელსაც შეიარაღებული პირები 26 აპრილს დაესხნენ თავს, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. ადგილობრივი ოფიციალური პირების

განცხადებით, ბოლოს მომხდარმა თავდასხმამ ადგილობრივ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია.

კამერუნი

გასულ კვირას, კამერუნმა ასობით ჯარისკაცი განათავსა ნიგერიის საზღვართან მას შემდეგ, რაც ბოკო ჰარამის მებრძოლების თავდასხმებმა ბოლო ორი თვის განმავლობაში 40 000-ზე მეტ ადამიანს საცხოვრებელი ადგილის დატოვება აიძულა. კამერუნის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ის ეწვევა საზღვარს, რათა სათანადოდ შეაფასოს უსაფრთხოების ვითარება და მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ დაბრუნება უსაფრთხოა.

კამერუნის სამხედროების განცხადებით, ბოკო ჰარამის შეჭრა მაიო ცანაგაში, ნიგერიასთან კამერუნის ჩრდილოეთ საზღვარზე, განსაკუთრებით გახშირდა აპრილიდან. სამხედროების თქმით, ყოველდღიურად ნიგერიელი ტერორისტული ჯგუფის შეიარაღებული წევრები კვეთენ კამერუნის საზღვარს, თავს ესხმიან სოფლებს და იპარავენ პირუტყვს და საკვებს. საზღვართან განლაგებულმა თავდაცვის ჯგუფებმა ჯართან უნდა ითანამშრომლონ. ამასთანავე, ამიერიდან ყველა მილიცია უნდა იყოს რეგისტრირებული და კონტროლირებადი ადგილობრივი ხელისუფლებისა და კამერუნის სამხედროების მიერ. მისი თქმით, მილიციის წევრები უნდა იყვნენ უდავო პატიოსნების მქონე ადამიანები. თავდაცვის ძალების განცხადებით, სამხედროები ენერგიულად შეებრძოლებიან ტერორისტებს, რათა ნიგერიის საზღვარზე ჩარჩენილი სამოქალაქო პირების დაბრუნება შეძლონ.

ეგვიპტე

ეგვიპტურმა სასამართლომ 10 ადამიანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ხოლო 50-ზე მეტს სამუდამო პატიმრობა მას შემდეგ, რაც ისინი გაასამართლეს უსაფრთხოების ძალებზე თავდასხმების მხარდაჭერის/განხორციელებისთვის და სახელმწიფო ინფრასტრუქტურის დივერსიაში. პროკურატურა 2013-2015 წლებში კაიროში განხორციელებულ თავდასხმებს უკავშირებს ახლა უკვე კანონიერებულ მუსლიმურ საძმოს. უფლებადამცველმა ორგანიზაცია Amnesty International-მა განაცხადა, რომ მასობრივი სასამართლო პროცესი, რომელშიც 200-ზე მეტი ბრალდებული მონაწილეობდა, იყო უხეშად უსამართლო და მოუწოდა სასჯელის გაუქმებისკენ. ეგვიპტემ მოაწყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარბევა თავის თანამედროვე ისტორიაში საძმოზე 2013 წელს არმიის მიერ ისლამისტი პრეზიდენტის მუჰამედ მურსის დამხობის შემდეგ. სასამართლომ

ბრალდებულები ეგვიპტის უმაღლეს რელიგიურ ხელისუფლებას, დიდ მუფთს გადასცა, რათა იანვარში სიკვდილით დასჯა დაემტკიცებინათ.

მალი

გასულ შაბათ-კვირას, ცენტრალური მალის ბანკასის რაიონის რამდენიმე სოფელში ორდღიანი თავდასხმების დროს სულ მცირე 132 ადამიანი დაიღუპა. მთავრობის განცხადებით, მომხდარში ბრალეულობა ისლამის მხარდამჭერ ჯგუფსა და ალ-კაიდასთან დაკავშირებულ ჯიჰადის მეამბოხეებს მიუძღვით.

გასულ წელს ზოგიერთ შეიარაღებულ ჯგუფსა და ბანკასის რაიონში არსებულ საზოგადოებას შორის სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდა და ძალაში იყო მაშინაც კი, როდესაც შეიარაღებული პირები დროგამოშვებით ქალაქში შედიოდნენ სოფლის მცხოვრებლებისთვის შარიათის საქადაგებლად. მას შემდეგ კი, რაც ჯიჰადისტებმა ხალხის მკვლელობა დაიწყეს, ვითარება შეიცვალა.

ანალიტიკოსების განცხადებით, ეს იყო ყველაზე სასიკვდილო თავდასხმა მას შემდეგ, რაც მეამბოხე ჯარისკაცებმა დაამხვეს პრეზიდენტი იბრაჰიმ ბუბაკარ კეიტა ორი წლის წინ და ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისლამური ექსტრემისტული ძალები მალის ჩრდილოეთი ნაწილიდან თანდათანობით უფრო ცენტრალურ რაიონებში ინაცვლებენ.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაეროს მაღალჩინოსანმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ M23-ის აღმდგარი მეამბოხე ჯგუფი ქვეყნის აღმოსავლეთში კარგად არის შეიარაღებული და აღჭურვილი და მზარდ საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. „უახლესი საომარი მოქმედებების დროს M23 სულ უფრო მეტად მოქმედებდა, როგორც კონვენციური არმია, ვიდრე შეიარაღებული ჯგუფი“ - თქვა ბინტუ კეიტამ, გაეროს სტაბილიზაციის მისიის, MONUSCO-ს ხელმძღვანელმა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. „M23 ფლობს საცეცხლე საშუალებას და აღჭურვილობას, რომელიც უფრო და უფრო დახვეწილია, განსაკუთრებით შორ მანძილზე სროლის შესაძლებლობების თვალსაზრისით - ნაღმმტყორცნები, ტყვიამფრქვევები, ასევე თვითმფრინავების წინააღმდეგ ზუსტი ცეცხლი“, აღნიშნა მან უშიშროების საბჭოსთან საუბრისას. M23 2013 წელს დაამარცხეს კონგოს არმიამ (FARDC) და MONUSCO-ს სპეციალურმა ძალებმა, მაგრამ 2021 წლის ნოემბერში დაჯგუფებამ აღდგენა დაიწყო. კონგოს ოფიციალური პირები ადანაშაულებენ მეზობელ რუანდას M23-ის მხარდაჭერაში,

რამდენადაც ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ იცავს ტუტსის უმცირესობას კონგოს აღმოსავლეთში. ტუტსების მიერ მართვადი რუანდას მთავრობა უარყოფს ამბოხებულ ჯგუფთან რაიმე კავშირს. უშიშროების საბჭოში კონგოს ელჩმა მოუწოდა M23-ის უპირობო გაყვანისკენ კონგოდან და ასევე ამ ჯგუფის მხარდამჭერების მკაცრად დაგმობისკენ, „დაწყებული რუანდადან და მისი პრეზიდენტიდან“.

ავღანეთი

[თალიბანის ხელისუფლებას ავღანეთში ადანაშაულებენ სასამართლოს გარეშე მკვლელობებში და ადამიანის უფლებების სხვა დარღვევაში, ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში შეიარაღებული აჯანყების ჩახშობისას.] გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და უფლებადამცველებმა შემაშფოთებელი უწოდეს ბალხაბის რეგიონში ძალადობის შემთხვევებს ჩრდილოეთ სარ-ეპოლის პროვინციაში და მმართველი ისლამისტური ჯგუფის პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვეს. მეჰდი მუჯაჰიდი, ავღანეთის ეთნიკური უმცირესობის ჰაზართა შიიტური თემის გავლენიანი წევრია და ბოლო დრომდე მსახურობდა თალიბანის ჯაშუშად ცენტრალურ ბამიანის პროვინციაში. ის გაურკვეველი მიზეზების გამო გაათავისუფლეს, რის გამოც იძულებული იყო რომ სუნიტ ისლამისტ მმართველებს ჩამოშორებოდა. „Amnesty International სერიოზულად შეშფოთებულია სარი-პულის პროვინციის ბალხაბის რაიონში მშვიდობიანი მოსახლეობის სიკვდილით დასჯისა და ზიანის მიყენების ფაქტების გამო“ - წერს გლობალური უფლებადამცველი ჯგუფი. „როგორც ავღანეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, თალიბანს აქვს მთავარი პასუხისმგებლობა, შეწყვიტოს თავდასხმები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და უზრუნველყოს სამართლიანობა და პასუხისმგებლობა.“

ახალი ზელანდია

[ახალმა ზელანდიამ „ამაყი ბიჭები“ ოფიციალურად დაასახელა ტერორისტულ ორგანიზაციად.] აღნიშნულის მიზეზი, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ დასახელებულა. ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავშირებულია „ამაყი ბიჭების“ საკუთრებასთან, ან ფინანსურად, საკუთრების კუთხით ან სხვა სერვისებით მხარს უჭერს ამ ორგანიზაციას, დაექვემდებარება სისხლის სამართლებრივ დევნას. ეს ნაბიჯი პირველი შემთხვევაა, როდესაც აშშ-ში დაფუძნებული ჯგუფი ახალი ზელანდიის ტერორისტული ერთეულების სიას დაემატა. ეს ყველაფერი მოხდა მას შემდეგ, რაც 6 იანვარს საკომიტეტო მოსმენების შედეგად ნათელი გახდა უფრო მეტი დეტალი „ამაყი ბიჭების“ მონაწილეობის შესახებ აშშ-ში

კაპიტოლიუმის ძალადობრივ შტურმში. რამდენიმე თვის წინ, ახალი ზელანდიის პოლიცია შეიჭრა პარლამენტის შენობაში, მისი სამკვირიანი ოკუპაციის შემდეგ, რაც გამოიწვია Covid-19-ის ვაქცინის მანდატების წინააღმდეგ პროტესტმა. ეს მოვლენები მოგვაგონებდა სწორედ აშშ-ში კაპიტოლიუმის შტურმს, ძალადობრივი შეტაკებებით ქუჩებში და ხანძრებით, რომლებმაც გადაწვა გაზონები და საბავშვო მოედანი. გასულ წელს, კანადა გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც „ამაყი ბიჭები“ ტერორისტულ დაჯგუფებად გამოაცხადა.